38. უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ პავლეს ძე **იუდინი.**

39. შინაგანი დაცვის უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ ვასილის ძე **იურკოვი.**

40. შინაგანი დაცვის კაპიტანი შამილ ნიკოლოზის ძე **ჯატიევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.

№ 3571-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 287 ამხ. ე. ს. ბერეზნიაკის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით და ე. ი. ვოლოგოდსკაიას სამამულო ომის II ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტთა ჯარების ზურგში სარდლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და ამასთან გამოჩენილი გამბედაობისა და მამაცობისათვის **დაჯილდოვდნენ:**

**სამამულო ომის I ხარისხის ორდენით**

ევგენი სტეფანეს ძე **ბერეზნიაკი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სამამულო ომის II ხარისხის ორდენით**

ელისაბედ იაკობის ასულ ვოლოგოდსკაია.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.

№ 3572-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 288 ბრესტის ციხე-სიმაგრისათვის „გმირი ციხე-სიმაგრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბრესტის ციხე-სიმაგრის დამცველებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირზე ჰიტლერელ დამპყრობთა ვერაგულ და უეცარ თავდასხმას იგერიებდნენ, განსაკუთრებით მძიმე პირობებში გერმანელ ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს გამოიჩინეს თვალსაჩინო მხედრული მამაცობა, მასობრივი გმირობა და ვაჟკაცობა, რაც საბჭოთა ხალხის უმაგალითო სიმტკიცის სიმბოლო გახდა.

სამშობლოს წინაშე ბრესტის ციხე-სიმაგრის დამცველთა განსაკუთრებული დამსახურებისა და 1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად ბრესტის ციხე-სიმაგრეს მიენიჭოს **„გმირი ციხე-სიმაგრის“** საპატიო წოდება და გადაეცეს **ლენინის ორდენი** და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.

№ 3573-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 289 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს რუსეთის სფს რესპუბლიკის იატაკქვეშეთის მონაწილეებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისა, მამაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის წოდება:**

1. გრიგოლ ანტონის ძე **აგეევს** — ტულის მუშათა პოლკის კომისარს. (სიკვდილისშემდგომ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ანასტასია ალექსანდრეს ასულ **ბისენიეკს** — დნოვის იატაკქვეშა ორგანიზაციის მონაწილეს, პსკოვის ოლქი (სიკვდილშემდგომ).

3. პეტრე ანტონის ძე **გალეცკის** — პარტიზანულ რაზმ „პობედას" პარტიზანს, სმოლენსკის ოლქი (სიკვდილშემდგომ).

4. მათე კუზმას ძე **კუზმინს** — პსკოვის ოლქის ველიკიე-ლუკის რაიონის კოლმეურნეობა „რასვეტის" წევრს (სიკვდილშემდგომ).

5. ანა ათანასეს ასულ **მოროზოვას** — სეშჩენის იატაკქვეშა ორგანიზაციის მონაწილეს, ბრიანსკის ოლქი (სიკვდილშემდგომ).

6. სიმონ გრიგოლის ძე **მოროზოვს** — როსტოვის ოლქის ქალაქ ტაგანროგის იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელს (სიკვდილშემდგომ).

7. ვალენტინა ივანეს ასულ **საფრონოვას** — ბრიანსკის საქალაქო პარტიზანული რაზმის პარტიზანს (სიკვდილშემდგომ).

8. მიხეილ არიკის ძე **სელგიკოვს** — ფურმანოვის სახელობის პარტიზანული რაზმის მეთაურის მოადგილეს, ბრიანსკის ოლქი.

9. ალექსანდრე ივანეს ძე **სკოკოვს** — სტავროპოლის მხარის ლევოკუმსკოეს რაიონის სოფელ ველიჩაევსკის იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელს (სიკვდილშემდგომ).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.

№ 3574-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 290 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს უკრაინაში მოქმედ პარტიზანთა და იატაკქვეშეთის მონაწილეთათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, მამაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება სიკვდილშემდგომ:

1. ანდრია ივანეს ძე **ანდრეევს** — ქალაქ ნიკოლაევში საზღვაო ქვეითი ჯარის დესანტის მონაწილეს.

2. ალექსი ალექსის ძე **ბორკანიუკს** — პარტიის კარპატსიმიერი სამხარეო კომიტეტის მდივანს.

3. პეტრე კალენიკეს ძე **ვოლინეცს** — ლენინის სახელობის პარტიზანული რაზმის კომისარს, ვინიცის ოლქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. თევდორე მიხეილის ძე **მიხაილოვს** — სლავუტას იატაკქვეშა კომუნისტური ორგანიზაციის ორგანიზატორს და ხელმძღვანელს, ხმელნიცკის ოლქი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.
№ 3575-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**291** **1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს უკრაინაში მოქმედი იატაკქვეშა კომკავშირულ-ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელმძღვანელთათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, მამაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება სიკვდილშემდგომ:

1. იაკობ პეტრეს ძე **ბატიუკს** — ჩერნიგოვის ოლქის ქალაქ ნეჟინის იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელს.
2. ივანე ფედოტის ძე **ბუგაიჩენკოს** — პოტიევსკის იატაკქვეშა კომკავშირულ-ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ჟიტომირის ოლქი.
3. კუზმა ივანეს ძე **გალკინს** — ხოტინის იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს, ჩერნოვცის ოლქი.
4. ელენე კონსტანტინეს ასულ **უბიივოვკს** — ქალაქ პოლტავის იატაკქვეშა კომკავშირულ-ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.
№ 3576-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**292** **ვინიცის საქალაქო იატაკქვეშა პარტიული ორგანიზაციის მონაწილეთათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, მამაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება სიკვდილშემდგომ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ივანე ვასილის ძე ბევზს — ვინიცის საქალაქო იატაკქვეშა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

2. ლარისა სტეფანეს ასულ რატუშნაიას — ვინიცის საქალაქო იატაკქვეშა პარტიული ორგანიზაციის მეკავშირეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.

№ 3577-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 293 ა. დ. ბოროდისა და გ. ი. შელუშკოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

უკრაინის კომპარტიის ქიტომირის იატაკქვეშა ოლქკომის მოწყობასა და ხელმძღვანელობაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის ალექსი დემიანის ძე ბოროდის და გრიგოლ ივანეს ძე შელუშკოვს მიენიჭოთ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება სიკვდილშემდგომ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.

№ 3578-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 294 ნ. ი. სოსნინასათვის და პ. ა. ტარასკინისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისა, მამაცობისა და გმირობისათვის ქიტომირის ოლქის მალინის იატაკქვეშა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ნინო ივანეს ასულ სოსნინას და პავლე ანდრიას ძე ტარასკინს მიენიჭოთ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება სიკვდილშემდგომ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.

№ 3579-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 295 ი. დ. კუდრესათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ქალაქ კიევში იატაკქვეშა მზვერავი ორგანიზაციის შექმნასა და ხელმძღვანელობაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის ივანე დანილას ძე კუდრეს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება სიკვდილშემდგომ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.
№ 3580-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 296 ი. ვ. სერგიენკოსათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

პარტიის კიევის იატაკქვეშა ოლქკომის მოწყობასა და ხელმძღვანელობაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის პარტიის კიევის იატაკქვეშა ოლქკომის მდივანს ივანე ვასილის ძე **სერგიენკოს** მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება სიკვდილშემდგომ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.
№ 3581-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 297 ვ. დ. რევიაკინისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში თვალსაჩინო დამსახურებისა, მამაცობისა და გამბედაობისათვის, სევასტოპოლის იატაკქვეშა პარტიული ორგანიზაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელს ვასილ დიმიტრის ძე **რევიაკინს** მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება სიკვდილშემდგომ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.
№ 3582-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 298 ხარკოვის იატაკქვეშა პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორთა და ხელმძღვანელთათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ხარკოვის იატაკქვეშა პარტიული ორგანიზაციის შექმნასა და ხელმძღვანელობაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის, მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება სიკვდილშემდგომ:

1. ივანე ივანეს ძე **ბაკულინს**.
2. ნადეჟდა ტერენტის ასულ **ვოლკოვას**.
3. ალექსანდრე გორდეის ძე **ზუბარევს**.
4. მარიამ ტიმოთეს ასულ **კისლიაკს**.
5. ალექსანდრე მიხეილის ძე **შჩერბაკს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.
№ 3583-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 299 ი. ა. კულიკისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, მამაცობისა და გმირობისათვის, ხერსონის იატაკქვეშა კომკავშირულ-ახალგაზრდული ორგანიზაციის „პატრიოტ როდინის“ ხელმძღვანელს ილია ალექ-

სანდრეს ძე **კულიკს** მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება სიკვდილის შემდგომ.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.

№ 3584-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 300 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს ბელორუსიაში მოქმედი პარტიზანებისა და იატაკქვეშეთის მონაწილეებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინაალმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისა, მამაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება სიკვდილშემდგომ:

1. ტიმოთე სტეფანეს ძე **ბოროდინს** — ქალაქ გომელის იატაკქვეშა ჯგუფის ხელმძღვანელს.

2. ბიკენტი იოსების ძე **დროზდოვიჩს** — პარტიზანული ბრიგადის ოცეულის მეთაურს.

3. ივანე კონსტანტინეს ძე **კაბუშკინს** — მინსკის პარტიული იატაკქვეშეთის ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელს.

4. მარატ ივანეს ძე **კაზეის** — პარტიზანული ბრიგადის პარტიზანს.

5. ისაი პავლეს ძე **კაზინეცს** — პარტიის მინსკის იატაკქვეშა ქალაქკომის მდივანს.

6. ოსმან მუ'სას ძე **კასაევს** — პარტიზანული პოლკის მეთაურს.

7. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **კედიშკოს** — მინსკის იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელს.

8. ევგენი ვლადიმერის ძე **კლუმოვს** — მინსკის პარტიული იატაკქვეშეთის მონაწილეს.

9. ლეონიდე დიმიტრის ძე **ლორჩენკოს** — მოგილიოვის იატაკქვეშეთის მონაწილეს.

10. ტატიანა საველის ასულ **მარინენკოს** — პარტიზანული ბრიგადის მზვერავს.

11. ვლადიმერ სტეფანეს ძე **ომელიანიუკს** — პარტიის მინსკის იატაკქვეშა ქალაქკომის წევრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ვლადიმერ ანტონის ძე **ხომჩენოვსკის** — პარტიზანული რაზმის მეთაურის მოადგილეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.
№ 3585-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 301 ი. ტ. ვიტასისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, მამაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება ლიტვის კპ ვილნიუსის იატაკქვეშა ქალაქკომის მდივანს იუოზას ტომის ძე **ვიტასს** სიკვდილშემდგომ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.
№ 3586-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 302 ხ. ა. კულმანისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, მამაცობისა და გმირობისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მზვერავს ხელენა ანდრიას ასულ **კულმანს** სიკვდილშემდგომ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.
№ 3587-VI.

ეროვნული

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 303 არმიის გენერალ კარლ-ჰაინც ჰოფმანის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურების, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად არმიის გენერალი კარლ-ჰაინც **ჰოფმანი** დაჯილდოვდეს **წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.
№ 3588-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 304 პოლკ „ნორმანდია-ნემანის“ ყოფილი მეთაურის საფრანგეთის თადარიგის გენერალ პიერ პუიიადის ალექსანდრე ნეველის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული საბრძოლო დამსახურების აღსანიშნავად და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებისათვის გაწეული დიდი მუშაობის გათვალისწინებით პოლკ „ნორმანდია-ნემანის“ ყოფილი მეთაური საფრანგეთის თადარიგის გენერალი პიერ **პუიიადი** დაჯილდოვდეს **ალექსანდრე ნეველის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 მაისი.
№ 3590-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 305 ამხ. ტ. თ. ნოვაკისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

როვნოს კომუნისტური იატაკქვეშა ორგანიზაციის შექმნასა და ხელმძღვანელობაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის ამხ. ტერენტი თევდორეს ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნოვაკს** მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“**.

ССР კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 10 მაისი.
№ 3591-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 306 ოდესის ი. ი. მეჩნიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სახალხო მეურნეობის სპეციალისტების მომზადებაში მოპოვებული წარმატებებისათვის და დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით **ოდესის ი. ი. მეჩნიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 12 მაისი.
№ 3612-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 307 ამხ. მ. დ. ხალიავკინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ავღანეთში ჯელალაბადის იმ საირიგაციო არხის გვირაბების მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის, რომელიც შენდება სსრ კავშირის ტექნიკური დახმარებით, ამ არხის საგვირაბო სამუშაოების მთავარი ინჟინერი ამხ. მიხეილ დიმიტრის ძე **ხალიავკინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 12 მაისი.
№ 3613-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

### საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაცია

16 აპრილს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომამ განიხილა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დადებული მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი.

სხდომა გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა. პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების თავმჯდომარეებმა მ. ა. სუსლოვმა და ბ. ნ. პონომარიოვმა.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

8 აპრილს ვარშავაში ხელმოწერილი მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, თქვა ა. ა. გრომიკომ, არის გაგრძელება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის 1945 წლის 21 აპრილის ხელშეკრულებისა, რომელიც 20 წლის ვადით შეიკრა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების წინ.

გასული ოცწლეულის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ 1945 წლის ხელშეკრულება ევროპაში მშვიდობის დაცვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო და საიმედო სამსახურს უწევდა ორივე ქვეყნის ინტერესებს.

მთელი ომისშემდგომი პერიოდის მანძილზე საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, თქვა შემდეგ ა. ა. გრომიკომ, ვითარდებოდა ფართო ეკონომიური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა. საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის იმ დელეგაციის ამასწინანდელმა ვიზიტმა პოლონეთში, რომელსაც ლ. ი. ბრეჟნევი ხელმძღვანელობდა, და პოლონეთის ხელმძღვანელებთან იქ გამართულმა საუბრებმა სავსებით დაადასტურეს ეს.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ახალი ხელშეკრულება მოასწავებს თავისი ისტორიული წინამორბედის დებულებათა შემდგომ განვითარებას იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რაც მოხდა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობაში. როგორც აქამდე, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის განვითარებას საფუძვლად უდევს სრული თანასწორუფლებიანობა, სახელმწიფო სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და ძმური ურთიერთდახმარების პრინციპები.

ახალი ხელშეკრულება, ისევე როგორც წინა ხელშეკრულება, ითვალისწინებს ორივე ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო ასპარეზზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უწინარეს ყოვლისა მშვიდობის და უშიშროების უზრუნველყოფის საქმე-ში, აგრეთვე თანამედროვეობის ისეთი ძირითადი საკითხების გადაჭრაში, როგორიც არის საყოველთაო და სრული განიარაღება და კოლონიალიზმის საბოლოო მოსპობა.

ა. ა. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახიფათო იქნებოდა არ გაგვეთვალისწინებინა იმპერიალისტური წრეების, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის აგრესიული კურსი. დღეს მთელი მსოფლიო მოწმეა, თუ რა დანაშაულობებს სჩადის ამერიკის მხედრიონი ვიეტნამში. ევროპაში კვლავ თავი წამოყვეს დასავლეთ გერმანელმა მილიტარისტებმა.

ასეთ ვითარებაში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულება ერთ-ერთი სერიოზული დაბრკოლებაა რევანშისტთა გზაზე, ის უზრუნველყოფს სახალხო პოლონეთის იმ საზღვრების ხელშეუხებლობას ოდერისა და ნეისეს გასწვრივ, რომლებიც ფიქსირებულია პოტსდამის შეთანხმებით და განმტკიცებულია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დადებული სათანადო ხელშეკრულებით. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ახალი ხელშეკრულება ერთხელ კიდევ ადასტურებს ორივე ქვეყნის გადაწყვეტილებას, საჭიროების შემთხვევაში კოლექტიურად გამოვიდნენ სოციალისტურ მონაპოვართა დასაცავად. არავინ უნდა ეჭვობდეს და არც ეჭვობს, რომ თუ საჭირო იქნა, საბჭოთა კავშირი, ერთგული თავისი ინტერნაციონალური მოვალეობისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა, აღიმართება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

მინისტრმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების მნიშვნელობა სცილდება ორი ქვეყნის ურთიერთობის ფარგლებს. ეს ხელშეკრულება მნიშვნელოვანი ფაქტორია პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისათვის ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

დასასრულ ა. ა. გრომიკომ რწმენა გამოთქვა, რომ განსახილველად წარმოდგენილი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება რატიფიცირებული იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების სახელით სიტყვას ამბობს ბ. ნ. პონომარიოვი. მან თქვა, რომ კომისიებმა გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს და ერთსულოვნად მოიწონეს სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულება.

კომისიების სხდომაზე, თქვა მან, აღნიშნული იყო ამ აქტის ისტორიული მნიშვნელობა. ხელშეკრულება შეესაბამება პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ძირეულ ინტერესებს. 20 წლის წინათ დადებული ხელშეკრულების მსგავსად იგი მძლავრი ფარი იქნება იმპერიალისტთა და რევანშისტთა ხრიკებისაგან ჩვენი ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ინტერესთა დასაცავად. იგი ადასტურებს, რომ პოლონეთის საზღვრები ოდერ-ნეისეს გასწვრივ ხელშეუხებელია, ალაგმავს დასავლეთ გერმანელ მილიტარისტთა მისწრაფებას რევანშისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენ და სამსახურს უწევს მდგომარეობის სტაბილიზაციას ევროპაში. ამით ეს ხელშეკრულება ხელს შეუწყობს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის კონტინენტზე დარჩენილი პრობლემების სწორი მიმართულებით გადაჭრას. ამით გამოიხატება მისი მნიშვნელობა როგორც ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების ფაქტორისა.

ისევე, როგორც უკვე ვადაგასული წინა დოკუმენტი, ახალი ხელშეკრულებაც ემყარება თანასწორობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ყოველმხრივი თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ურყევ პრინციპებს. სახალხო პოლონეთის და სსრ კავშირის ურთიერთობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების თანმიმდევრული გამოყენება სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ძლიერებისა და ჭეშმარიტი ძმობის წყაროა.

ბ. ნ. პონომარიოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელშეკრულება მთლიანად ეთანხმება ვარშავის ხელშეკრულებით გაერთიანებული სოციალისტური ქვეყნების მრავალმხრივი თავდაცვითი ორგანიზაციის პრინციპებსა და ამოცანებს. გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში, რაც ამჟამად შეიქმნა სამხრეთ ვიეტნამისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა წინააღმდეგ შეერთებული შტატების აგრესიის შედეგად, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების დადება ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ჩვენი მოძმე ქვეყნების მტკიცე გადაწყვეტილებას შეაკავშირონ თავიანთი ძალები კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, განუხრელად დაიცვან სოციალიზმის მონაპოვარი.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის კავშირის განმტკიცება მნიშვნელოვანი წვლილია აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების ბრძოლაში საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობისათვის, აძლიერებს სოციალისტური თანამეგობრობის პოზიციებს იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიები, განაცხადა ორატორმა, ერთსულოვნად ურჩევენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოახდინოს ხელშეკრულების რატიფიკაცია.

სხდომაზე აგრეთვე სიტყვები წარმოთქვეს რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. გ. იგნატოვმა, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. ი. კოზლოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, ვინიცის ოლქის ბერშადის რაიონის XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. მ. კავუნმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ს. მ. ბუდიონიმ, ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ი. პალეცკისმა, რომელთაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი ხელშეკრულების რატიფიკაციას.

განხილვის შედეგებს რომ აჯამებდა, ა. ი. მიქოიანმა თქვა:

1945 წლის 21 აპრილს ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ, რომელსაც ამ დღეებში 20 წელი უსრულდება, ბოლო მოუღო ყველა სავალალო მოვლენას, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანასა და პოლონეთს შორის მეფის თვითმპყრობელობისა და პოლონეთის პანი გამგებლების მიზეზით.

ეროვნული

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩვენ ერთად ვიყავით, საერთო ინტერესები გვქონდა, ერთობლივ ბრძოლაში განმტკიცდა ჩვენი ხალხების მეგობრობა.

20 წელია ჩვენი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა საერთო მიმართულებით მიდის. ამას მოწმობენ წინა ხელშეკრულება და ახალი ხელშეკრულება, რომელსაც თქვენთან ერთად განვიხილავთ. მასში გათვალისწინებულია ჩვენი ქვეყნების სახელმწიფო ინტერესები სუვერენიტეტის სრული პატივისცემის, ერთმანეთის საქმეში ჩაურევლობის, მეგობრული ურთიერთობის და ურთიერთდახმარების, იმპერიალიზმის, დასავლეთ გერმანიის რევანშიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის პრინციპებზე.

ეს ხელშეკრულება დიდი შენაძენია ჩვენი ქვეყნების ხალხთათვის.

ჩვენ განვიხილავთ ვადაგასული ხელშეკრულების ნაცვლად დადებული ახალი ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხს. ეს ხელშეკრულება არა მარტო განამტკიცებს ყველაფერს, რაც ძველ ხელშეკრულებაში იყო, არამედ ამდიდრებს კიდეც მას — ჩვენი თანამშრომლობა უფრო ფართოდ და ღრმად ვითარდება. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ვარშავაში, ერთი მხრივ, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ბრეჟნევმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა კოსიგინმა, პოლონეთის მხრივ, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა გომულკამ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ცირანკევიჩმა.

ეს ხელშეკრულება მოწონებულია საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ. იგი განიხილა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ და, როგორც ბ. ნ. პონომარიოვმა ორივე კომისიის სახელით მოგვახსენა, ხელშეკრულება სავსებით მოიწონა ორივე კომისიამ.

აქ გამოსულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა გამოთქვეს ნება ჩვენი ხალხისა, რომელსაც სურს შემდგომშიაც განავითაროს და გააღრმავოს მეგობრობა პოლონელ ხალხთან და რომელიც ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ხელშეკრულების ხელმოწერას, ისევე როგორც მთელი პოლონელი ხალხი.

სახალხო პოლონეთის სახელმწიფო საბჭომ მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია 14 აპრილს.

ა. ი. მიქოიანი კითხულობს ბრძანებულების პროექტს ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ და კენჭს უყრის მას. ბრძანებულება მიიღეს ერთხმად.

შემდეგ ა. ი. მიქოიანი ხელს აწერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ და სარატიფიკაციო სიგელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაულის — გამარჯვების დღის წინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 6 მაისის ბრძანებულებებით დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტებზე საბრძოლო დავალებათა სანიმუშო შესრულებისა და ამასთან გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა 18 საბჭოთა მეომარს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 6 მაისის ბრძანებულებებით 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში საბრძოლო წარჩინებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია 31399 მისი მონაწილე: ლენინის ორდენით — 2 კაცი, წითელი დროშის ორდენით — 10, სამამულო ომის I ხარისხის ორდენით — 656, სამამულო ომის II ხარისხის ორდენით — 4115, წითელი ვარსკვლავის ორდენით — 5993, დიდების III ხარისხის ორდენით — 3100 და მედლებით „მამაცობისათვის“ — 8994, „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 8523, აგრეთვე უშაკოვის მედლით — 4 და ნახიმოვის მედლით — 2 კაცი.

ბრძანებულებანი გამოქვეყნებულია 1965 წლის 13 მაისის № 19 „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ დანართში.

* *

*

საბრძოლო დავალების სანიმუშო შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 8 მაისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობიდან 272 კაცი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია 118, მედლით „მამაცობისათვის“ — 106 და მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 48 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში.“

* *

*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 8 მაისის ბრძანებულებით დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტებზე საბრძოლო დავალებათა სანიმუშო შესრულებისა და ამასთან გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა 5 ჩეკისტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 8 მაისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული არიან სახელმწიფო უშიშროების ჯარებისა და ორგანოების ოფიცრები, სერჟანტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რიგითი მეომრები 1632 კაცის რაოდენობით, რომელთაც თავი გამოიჩინეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 4 ჩეკისტი, რომლებიც მოწინააღმდეგის ზურგში სპეციალურ დავალებებს ასრულებდნენ, წითელი დროშის ორდენით — 18, სამამულო ომის I ხარისხის ორდენით — 125, სამამულო ომის II ხარისხის ორდენით — 279, წითელი ვარსკვლავის ორდენით — 397, დიდების III ხარისხის ორდენით — 13, მედლით „მამაცობისათვის“ — 295, მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 501 კაცი.

* *
*

1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 10 მაისის ბრძანებულებებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა რუსეთის სფს რესპუბლიკის მხარეებში, ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ლიტვაში, მოლდავეთში, ლატვიასა და ესტონეთში მოქმედი 8140 პარტიზანი და იატაკქვეშეთის მონაწილე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 39 კაცი, წითელი დროშის ორდენით — 67, სამამულო ომის I ხარისხის ორდენით — 483, სამამულო ომის II ხარისხის ორდენით — 634, წითელი ვარსკვლავის ორდენით — 318, დიდების III ხარისხის ორდენით — 73, მედლით „მამაცობისათვის“ — 2688 და მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 3838 კაცი.

დაჯილდოებულთაგან 1637 სახალხო შურისმგებელი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ იბრძოდა რუსეთის სფს რესპუბლიკის მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე, 2902 — უკრაინაში, 3269 — ბელორუსიაში, 162 — ლიტვაში, 73 — მოლდავეთში, 91 — ლატვიაში და 6 — ესტონეთში.

ბრძანებულებები პარტიზანთა და იატაკქვეშეთის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ და ადგილობრივ პრესაში.

## ნაწილი II

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 308 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისი—ქუთაისი—სოხუმის და თბილისი—რუსთავის რადიო-სარელე ხაზების მშენებლობის წარმატებით და ვადაზე ადრე დამთავრებასთან დაკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირებით დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** მშენებლები და მემონტაჟეები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

1. ივანე ფედოტის ძე **ბახლინი** — ტრესტ „რადიომშენის“ 168 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კავშირგაბმულობის მონტიორი.

2. ოთარი პლატონის ძე **ბიწაძე** — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მშენებარე ობიექტების დირექციის უფროსი ინჟინერი.

3. ვიქტორ ისკენდერის ძე **გასანოვი** — ტრესტ „რადიომშენის“ 168 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

4. იაკობ ვლადიმერის ძე **დენეჟკინი** — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სარემონტო-სამონტაჟო სახელოსნოების ტექნიკური განყოფილების უფროსი.

5. მიხეილ გრიგოლის ძე **თავდგირიძე** — ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ მმართველი.

6. ლეონიდე ემანუილის ძე **იარალოვი** — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მშენებარე ობიექტების დირექციის მთავარი ინჟინერი.

7. სერგო ივანეს ძე **კირაკოზოვი** — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სარემონტო-სამონტაჟო სახელოსნოების დირექტორი.

8. გიორგი ნიკოლოზის ძე **ლიუბაშენკო** — ტრესტ „რადიომშენის“ 168 სამონტაჟო სამმართველოს კავშირგაბმულობის მონტიორი.

9. გიორგი მირონის ძე **ლიუბოვსკი** — სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს № 1 სამშენებლო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

10. ევგენი ანდრიას ძე **მამჩიცი** — ტრესტ „რადიომშენის“ ლაბორატორიის უფროსი.

11. ვლადიმერ სტეფანეს ძე **უიგარი** — ტრესტ „რადიომშენის“ 168 სამშენებლო-სამონტაჟო სამართველოს კავშირგაბმულობის მონტიორი.

12. ალექსანდრე ბორისის ძე **რეზნიკოვი** — ტრესტ „რადიომშენის“ 168 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

13. სტანისლავ გენრიხის ძე **სოლოვიოვი** — ტრესტ „რადიომშენის“ 168 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

14. ნიკოლოზ მარკის ძე **სონოვი** — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სარემონტო-სამონტაჟო სახელოსნოების ზეინკალ-მემონტაჟე.

15. ვალერიან ალექსანდრეს ძე **უჯმაჯურიძე** — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მშენებარე ობიექტების დირექციის უფროსი ინჟინერი.

16. ნიკოლოზ სიმონის ძე **ღვინიაშვილი** — ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ გორის სპეციალური სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი.

17. რევაზ გრიგოლის ძე **ყაზახაშვილი** — ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ მმართველის მოადგილე.

18. გრიგოლ ბაკოსის ძე **ყანჩაველი** — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მშენებარე ობიექტების დირექციის უფროსი ინჟინერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. ვახტანგ ლავრენტის ძე **ყუბანეიშვილი** — საქართველოს სსრ კავშირ-გაბმულობის სამინისტროს მშენებარე ობიექტების დირექციის უფროსი.

20. ზურაბ ნოეს ძე **ჩომახიძე** — ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ № 6 სპეციალური სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ბრიგადირი.

21. ალექსი პარმენის ძე **ცირიკიძე** — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სარემონტო-სამონტაჟო სახელოსნოების შემდუღებელი.

22. კონსტანტინე ივანეს ძე **წერეთელი** — სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ტრესტ „საკტელეფონმშენის“ ამიერკავკასიის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 6 მაისი.